თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3754618

ნომერი: AR1559329

თარიღი : 20.11.2017

გაცემის თარიღი : 26.12.2017

გაცნობის თარიღი : 26.12.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის II მ/რ II კვარტალი/ ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი II , (ნაკვეთი 15/005) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიფურია პ/ნ 01008050380
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის III შესახვევი, N 5, ბინა 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ #AR1559329 განცხადებაზე 2017 წლის 12 დეკემბრის #3748578 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭირო იყო დაგეანგარიშებინათ სარეკონსტრუქციო ფასადისა და ფართის ფასადზე განთავსებული სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დაგეტანათ ფოტომონტაჟზე. სარეკლამო აბრის პროცენტულობაში ასევე უნდა აგეანგარიშათ საჩრდილობელზე არსებული სარეკლამო წარწერების ფართობები.

ვინაიდან ამ ეტაპზე თქვენ მიერ კვლავ იქნა წარმოდგენილი კონდიციონერის განთავსების ფოტომონტაჟი, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო იყო წარმოგედგინათ განახლებული ფოტომონტაჟი, კონდიციონერის განთავსების ერთიანი ესკიზის ჩვენებით.

სამსახურის 2017 წლის 12 დეკემბრის #3748578 გადაწყვეტილებით დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სათანადო და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ხარვეზი არ არის გათვალისწინებული, 2017 წლის 12 დეკემბრის #3748578 გადაწყვეტილების შესაბამისად, წინამდებარე განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.